გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 92
(11 854)

19 – 22 ნოემბერი , 2004 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა გაბაშვილის საპატიო ოლიმპიური მისია ათენში



საქართველო. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს ბატონ გიორგი გაბაშვილს

ჩვენი ფედერაციისა და ოლიმპიური სპორტის სახელით მადლობას გიხდით ოლიმპიური სოფტბოლის ტურნირზე ათენში „პირველი ტყორცნის“ („FIRST Pich“) საპატიო ცერემონიალში მონაწილეობისთვის.

ჭეშმარიტად ეს იყო დიდი პატივი, რომ მონაწილეობა მიიღეთ ასეთ უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებაში და დამრთვინები გაგეხოთ, რომ თქვენი ტყორცნა იყო რეკორდული როგორც ბრწყინვალე STIKE-ი (უზუსტესი შედეგიანი ტყორცნა. რედ.)

სუვენირად გიგზავნით ფოტოს.

პერსონალური მოკითხვით
ჯონ პორტერი.

სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი



რედაქციისაგან: 2004 წლის ოლიმპიური თამაშები ათენში სწორედ სოფტბოლში მატის წინ პირველი ტყორცნით დაიწყო. ეს სპექტო მისია შეასრულა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, რომელიც ტურნირს ოჯახის სრული შემადგენლობით (მონაგარით) ესწრებოდა. ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი, როგორც ცნობილია, გვიან ღამით დასრულდა. პრეზიდენტი ბუში დილის 8 საათზე სოფტბოლის სტადიონზე იყო. იგი იმავე დღეს გაფრინდა აშშ-ში. „პირველი ტყორცნის“ (სხეულსახეა მატჩებზე) სპექტო მისია წილად ხვდათ ბოსტონის პრინცესა ალბერტს. ეროვნის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის პრეზიდენტს პეტერსენტს, ფორმა „მიზერის“ პრეზიდენტს ჯ. მიზერის, სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტს ჯიმ ისტონს, რომელიც ბეისბოლისა და სოფტბოლის ინტერნაციონალური ფედერაციის ერთიანი ფორმის „ისტონის“ მფლობელია, ლეგენდარულ სპორტსმენებს, სოკ-ის წევრებს სერგეი ბუბკას და ნადია კომანეჩს. ამ პროცედურებს მთელი მსოფლიო აღევნებოდა თვალს ტელევიზიით.

სურათებზე: ზევით – გოჩა გაბაშვილის „საპატიო პირველი“ ტყორცნა სოფტბოლისტთა ოლიმპიურ ტურნირზე; ქვევით – მარცხნივ: სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ენდი ლონხერი, მინისტრი გოჩა გაბაშვილი, ISF-ის პრეზიდენტი ჯონ პორტერი და ვიცე პრეზიდენტი რამაზ ჯოჯუაძე.

ვახტანგ ბალავაძეს!



ბატონო ვახტანგ,

20 ნოემბერს თქვენი დაბადების დღეა. მსურს საქართველოს სპორტული სამყაროს, პირადად ჩემი და მილიონობით მადლიერი გულშემატკივრის სახელით, გულწრფელად მოგილოცოთ დაბადების დღე თქვენ ბრძანებით უშვებარიდან მეცნიერება არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო სპეციალურ სამყაროში. ჭიდაობის თქვენეული სტილით და პირიმზეული მაღალწნობრიობით თქვენ მსოფლიოს თვალში ღირსეულად წარმოაჩინეთ ქართველი კაცის გენი. პლანეტა ღედამიწამ გაგიცნოთ, როგორც უნიკალური ფალავანი, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე თქვენს მიერ მოპოვებული სპორტული ტიტულები. თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი, ხალხთა სპარტაკიადების პრიზიორი, მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, ამასთან, სსრ კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი სამბოში, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ფილა-ს ორგანის კავალერი, თბილისის სპორტო მოქალაქე — აი, იმ მილწევების არასრული ნუსხა, რაც სთვისაც ოჯრის ასოები ჩაიწერა თქვენი სახელი ქართული სპორტის ისტორიაში.

გმადლობთ ყველაფრისათვის.

ირაკლი მემარიაშვილი,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელი

მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ქართული სპორტის სამამყის, თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების (1956) ბრინჯაოს პრიზიორს, „ჭიდაობის პროფესორს“ ვახტანგ ბალავაძეს.

* * *

„ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას.

ნოდარ ჯორჯიკიას!

ბატონო ნოდარ,

ქართულ სპორტს და, კერძოდ, ქართულ კალათბურთს ბევრი სწყალობდა, რომ მის ალაგ-ალაგ სათავეებთან იდგნენ თქვენი თაობის შესანიშნავი კალათბურთელები და პირადად თქვენ. რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანეთ სპორტის ამ სახეობის მაღალ მიღწევებსა და პროპაგანდაში საქართველოში. თქვენ დიდებულ ოთარ ჯორჯანაძესთან ერთად, ჯერ კიდევ 1947 წელს დაიმკვიდრეთ ადგილი საბჭოთა ნაკრებში და მთელი 7 წელიწადი იყავით მისი უცვლელი წევრი. წარმატებით ისპარებდით 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში და შინ ვერცხლის მედლით დაბრუნდით. მანამდე იყავით ევროპის ჩემპიონი, ხუთჯერ — 1944, 1946, 1950, 1953, 1959 წლებში კი სსრ კავშირის ჩემპიონი, ორჯერ — 1950, 1951 წლებში მოიპოვეთ სსრ კავშირის თასი, გახდით სპორტის დამსახურებული ოსტატი.

თქვენ ღვაწლი და დამსახურება ლეგენდად შემორჩა ქართულ სპორტს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

კეთილი სურვილებით,

ირაკლი მემარიაშვილი,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელი
დავით ჯორჯიკია.

ჭიდაობის სამყარო არკვევს...

ფედერაციის პრეზიდენტობის ერთმა კანდიდატმა განცხადება გუშინ შეიტანა

საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა სამი საკითხი: 1. საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ჩატარების ვადების განსაზღვრა; 2. ყრილობის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შექმნა; 3. ყრილობის დღეკვირვის სის დამტკიცება.

გადაწყდა, რომ ყრილობა ჩატარდება 15 დეკემბერს, სპორტის აკადემიის საკუტ დარბაზში, 12 საათზე. ყრილობის მოსამზადებელი მუშა ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალა ცნობილ ვეტერან ფალავანს გიორგი მაკასარაშვილს. პრეზიდიუმმა პერსონალურად დაამტკიცა ყრილობის 158 დელეგატის სია. დელეგატთა შორის არიან ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები, სპორტული ორგანიზაციების, კლუბების წარმომადგენლები, ყრილობის მანდატი მიეცემათ აგრეთვე შედეგების გამორჩეულ რეგიონებს.

გუშინ, ფედერაციაში პრეზიდენტობის ერთი კანდიდატის განცხადება გაატარეს რეგისტრაციაში. ეს სურვილი ჯერჯერობით ცნობილმა ვეტერანმა ფალავანმა ბაკურ გოგიტიძემ გამოთქვა.

დაწერილებითი ცნობებისთვის დარეკეთ ფედერაციაში 235-165.

ნინო გურიელი კენჭს იყრის

საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს მოჭადრაკეე ქალთა ნაკრებმა, როგორც ცნობილია, მეოთხე ადგილი დაიკავა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ინტერვიუ ვთხოვეთ ქალთა გუნდის კაპიტანს ნინო გურიელს,

◆ *ქალბატონო ნინო, პირადად თქვენ როგორ შეაფასებდით საქართველოს მოჭადრაკეე ქალთა ნაკრების გამოსვლას საჭადრაკო ოლიმპიადაზე?*

— უნდა გითხრათ, რომ შედეგით ძმაოფილი ვართ. სამწუხაროდ, ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე მოხდარი ცნობილი სკანდალის გამო, არ მოგვეცა ემოციების გამოხატვის საშუალება, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი დაწყნარდა და ნათელი გახდა ყველა ფაქტორი, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ნამდვილად ვიყავით ოლიმპიადის ერთ-ერთი ფავორიტი და ბრინჯაოს მედლის მოპოვება ჩვენთვის ნამდვილად ნაკლებად სასურველი შედეგი იქნებოდა. ამ ოლიმპიადაზე ჩვენ ვიყავით ერთადერთი გუნდი, რომელიც ორჯერ ამარცხებდა ამერიკის ნაკრებს, რომელიც ბოლოს ოქროს მედლის მფლობელი გახ

მეკვანე
გაზეთი „ლელოს“
სპორტული შაბათობანი

ნინო გურიელი კვნჭს იყრის

პირველი გვერდიდან

რი გაირკვა და დაწერდით, ვთქვი, რომ ჩვენი გუნდის გამოსვლა წარმატებულად უნდა ჩაითვალოს.

◆ *შეიძლებოდა თუ არა უკეთესი შედეგის მიღწევა?*

— იცით, რაშია საქმე? ისეთი საჭადრაკო შეჯიბრებისათვის, როგორიცაა ოლიმპიადა, სრულყოფილად და მაღალ დონეზე მომზადებული უნდა იყოს გუნდი, რომელსაც ჩემპიონობისათვის ბრძოლა სურს. ჩინელმა მოჭადრაკეებმა ოლიმპიადისთვის მზადება ერთი წლით ადრე დაიწყეს და ესპანეთში კარგად მომზადებულნი ჩავიდნენ. ჩვენ მხოლოდ ორი კვირა გვქონდა საამისოდ. და მაინც, საქართველოს ნაკრებმა კარგად ითამაშა. არ დავაინებდებით, რომ მაია ჩიბურდანიძის გარდა, ყველა დანარჩენი მოჭადრაკე პრივილეგიაში ბრძოლის ველზე წევრი თავდაუზოგავად იბრძოდა ბოლომდე, რისთვისაც მინდა მათ დიდი მადლობა გადავუხადო. მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებ აგრეთვე გუნდის მწვრთნელს — ლაშა ჯანდიერს, რომელმაც, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. სამწუხაროდ, მას მამა გარდაეცვალა და ჩვენს გუნდს გამოაკლდა. უმწვრთნელოდ დარჩენილ საქართველოს ქალთა ნაკრებს დიდად დაეხმარა ვაჟთა გუნდის მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი, რომელსაც ასევე მადლობას ვუხდი.

ჩვენმა გუნდმა ოლიმპიადა სუსტად დაიწყო. დასანაღი ქულები დაკარგეთ სუსტ გუნდებთან, თუმცა, ეს დაკარგული ქულები მოგვიანებით ძლიერ მტკივნეულად აინაზღაურეთ. თავიდან დასანაღი დაკარგული ქულები რომ არა...

◆ *როგორ დაახასიათებთ საქართველოს ქალთა ნაკრების თითოეული წევრის გამოსვლას?*

— არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ — მაია ჩიბურდანიძე ფენომენალური მოჭადრაკეა. მან 13 პარტია ითამაშა ოლიმპიადაზე, მხოლოდ ერთხელ შეისუნთქა და ის მაია-ტრიც გატასტატროფული ანგარიშით წააგო. სულ ოლიმპიადაზე მაიამ 5 პარტია მოიგო, მხოლოდ ერთში ვუყავ პოლგაროთან დამარცხება, დანარჩენები კი ყაიმით დასრულდა. მაია გუნდისთვის დიდი ძალაა. ნანა ძაგნიძე ძალიან კარგი მოჭადრაკეა, მაგრამ ერთსაც ვიტყვი. თუ მოჭადრაკე მსოფლიოს ჩემპიონობაზე ფიქრობს, მას კარგი საღებიტო მომზადებასთან დაკავშირებული მცირე პრობლემის გამო, ნანამ თავიდან ისე ვერ იასპარეზა, როგორც მას ეკადრებოდა. აშ-ის ნაკრებთან შეხვედრის წინ მან მთხოვა კიდეც დასვენების საშუალება მიმეცა. შემდეგ კი მთელი ძალით ითამაშდა.

ოლიმპიადაზე ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო ლელა ჯაჯანიშვილი. რომელიც მშვიდად იგებდა პარტიებს. რიცა ლელა უჩიპტესობას მოიპოვებდა, მე უკვე მშვიდად ვიყავი, რადგან ვიცოდი, ის შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. თუ ლელა ჯაჯანიშვილი ასე გააგრძელებს, ის აუცილებლად ითამაშებს მომავალ ოლიმპიადაზე.

მაია ლომინეიშვილე ნიჭიერი მოჭადრაკეა, კარგი საღებიტო მომზადება აქვს, მაგრამ ოლიმპიადაზე თამაში არ წყვეთდა. ეს ტურნირი არ იძლევა მოჭადრაკის კარგ ფორმაში შესვლის საშუალებას. ჩვენ, უბრალოდ, ერთ არ გვჭირდა, უნდა დავწერეოდით სხვა გუნდებს და როცა მესამე დაფაზე ელლა ჯავახიშვილი კარგად თამაშობდა, მისი შეცვლა ძნელად ძნელი იყო.

◆ *როდის დაიწყება „მაია ჩიბურდანიძის თასის“ გათამაშების ფინალური ტურნირი?*

— ტურნირის გახსნა გიორგობას — 23 ნოემბრის მჭიდება დაგეგმილი, მაგრამ ვადებმა დაგიანია — ერევანში ტარდება ტიგრან პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობა, რომელშიც გამოსულის სურვილი რამდენიმე ჩვენს მოჭადრაკეს აქვს. არ მინდა მათ ხელი შევუშალო. ამიტომ გადაწყდა, რომ „მაია ჩიბურდანიძის თასის“ გათამაშება 2 დეკემბერს დაიწყება.

◆ *22 დეკემბერს დანიშნული საქართველოს ჭადრაკის უფლებათა ლიგების, რომელზეც აირჩევენ უფლებათა ლიგის ახალ პრეზიდენტს — უკვე ცნობილია ერთი კანდიდატი — გურამ ბესიაშვილი. ბატონებო თქვა, ხა-კუთარი კანდიდატურის წამოყენებას?*

— მოკადაკეებმა, ნაკრების წევრებმა მთხოვეს, წამომეყენებინა ჩემი კანდიდატურა. გარკვეული ფიქრის შემდეგ მათ სურვილს დავეყვი და ჩემი განაცხადიც წარვადგინე. აქვე ვიტყვი, რომ ფედერაციის პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში პირველი ვიღებ პრეზიდენტი გიგა ჯაჯიშვილი იქნება.

ფიგნის თარო

თენგიზ ბიძინაშვილი

რაინდული სულის მოჭადრაკე

წერილები ანდრია დაღიანზე

„საჭადრაკო თემაზე მრავალი წიგნის ავტორმა, ვეტერანმა მოჭადრაკემ, საერთაშორისო არბიტრმა, ჟურნალისტმა, ისტორიკოსმა, ლიტერატორმა და ვიდაღაც-მა თენგიზ ბიძინაშვილმა ლაურეატმა თენგიზ გიორგაძემ კიდევ ერთი სანტერესო წიგნი გამოუცა შვილატა პატრიოტი ლიტერატურის თაროს — ახლახან გამოვიდა მისი ახალი წიგნი „რაინდული სულის მოჭადრაკე“.

„წიგნი ეძღვნება XIX-XX საუკუნეების მთვრალზე მოღვაწე პირველი ცნობილი ქართველი მოჭადრაკის და მეცნიერის ანდრია დადიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მასში პირველად იბეჭდება ქართულად დადიანის საჭადრაკო პარტიების დაბოლოებითა კრებული მასალები“ — გვითხულობთ წიგნის წინათქმაში.

დაინტერესებულ მკითხველს შევახსენებთ, რომ 1972 წელს გამოიცა ო. ვეორგაძის მონოგრაფია „თამაშობს ანდრია დადიანი“. თუმცა, ავტორს კვლევა არ შეუწყვეტია, ხოლო ჭადრაკის გულშემატკივრებისთვის გაეცნო ამ მოჭადრაკის პარტიების დაბოლოებათა კრებული. ეს კრებული კიდევ ერთი გამოცემული ფრანგულად 1903 წელს მხოლოდ 50 ეგზემპლარი და იმთავითვე ქცეულა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად. საქართველოში კი იგი თითქმის უცნობი იყო.

გამომცემლობა „ცოდნამ“ თ. გიორგაძის ეს ახალი ნაშრომი ანდრია დადიანის 300 ეგზემპლარად დასტამბა. ახალ ესეც, ალბათ, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცევა.

დამსაწყებელი მწვრთნელის ტიტული.

◆ *ამჟამად თქვენს ჯგუფში რამდენი მოსწავლე იროცხება?*

— სულ ორი ჯგუფი მყავს, რომელიც 10-10 მოსწავლით არის დაკომპლექტებული. პირველ ჯგუფში შედარებით ძლიერი ბავშვებია, რომელთაც 1 კატეგორია აქვთ და ასაკითაც უფროსები არიან. მეორე ჯგუფი კი II-III თანრიგოსნებით არის დაკომპლექტებული.

◆ *საუბრის პოლის რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებთ?*

— არაბამიას ვეხმარებოდი, 14 წლის რომ იყო, მაშინ, სამწუთა კავშირის ფინალში თამაშობდა. 1 ადგილზე გადიოდა და შეჯედრა ჰქონდა რუს მოჭადრაკესთან, რომელსაც ზედიზედ 8 პარტია ჰქონდა წაგებული, ჩემთან მოვიდა და ნაივი გასვირენება მთხოვა. თან დაყოფა, რად უნდა მომზადებოა... მეც არასერიოზულად ჩავთვალე, ვიფიქრე, — ყველა პარტიას აგებს და ქვეითნოთანაც წააგებს-თქო. თუმცა, დავალება მაინც დავეტყვინე. ბოლოს ძლივს წამოვიყვანე ნავების სერინობით გართული რუს მოჭადრაკესთან პარტიის სათამაშოდ და უეცრად 25 სულაი წაიარა ქვეითმა. კიდევ კარგი არაბამიამ ბოლოს მოგება შეძლო, პირველზე გავიდა და ოსტატობა შეასრულა.

საკვალიფიკაციო ტურნირზე

თბილისის 134-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ქალი დავთუ-რი) ჩატარდა საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელშიც 27 მოჭადრაკე ასპარეზობდა.

პირველი ადგილი დაიკავა ვახტანგ მჭედლიშვილმა (მწვრთნელი პაატა ვაშაყმაე), რომელმაც 7 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა და მეორე თანრიგის ნორმატიები შეასრულა. 5,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა გიორგი მაჩალაძე (მწვრთნელი ნინო წიტაიშვილი), რომელიც მესამე თანრიგოსანი გახდა. 5 ქულით მესამეზე აღმოჩნდა სანდრო ტაბიძე (მწვრთნელი პაატა ვაშაყმაე). მესამე თანრიგის ნორმატიები აგრეთვე შეასრულეს ელენე მებურნიშვილმა, ოთარ მანგიაშვილმა და მარიამ ხიზანიშვილმა, ხოლო მეოთხე თანრიგისა — ნიკა გვარამაძემ და ბაჭარ ანდღულაძემ (ერთი ბალი).

ტურნირის ორგანიზატორი იყო თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის №9 სპორტული სკოლის საჭადრაკო განყოფილების ხელმძღვანელი დავით კალმპლიაძე, ხოლო შეჯიბრების მთავარი მსაჯი — 134-ე სკოლის საჭადრაკო წრის ხელმძღვანელი — ნინო წიტაიშვილი.

გურამ საღარაძის ჭიდაობის ველნერით

ახლახან ცნობილ ქართველ ვეტერან ფალავანს ნოდარ ჯაბიშვილს და-ბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური ავტობუსების გაერთიანების ტექნიკური დირექტორი და ყოფილი ქუჩაქალაქის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, ლოსანების ორდენის კავალერი, დღესაც მუხლჩაუხრელად შრომობს. დიდ ჭირნახულობას უჩვენებს ნორჩ ფალავანებს და როცა პატარები წარმატებებს აღწევენ საერთაშორისო ტურნირებში, მასზე ბედნიერი არავინ არის.

დაბადა თბილისში, 1968 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებელის სპეციალობით. მუშაობდა სამშენებლო ორგანიზაციებში. იგი მეტროპოლიტენის სამშართველოს სამშენებლო-სარემონტო კანტორის უფროსი. შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე ეკონომიკურ ფაკულტეტზე რომელიც 1977 წელს დაამთავრა. ამის შემდეგ ბევრგან უმუშავია, დღევანდელ თანამდებობაზეც კი ზემოთ უკვე ითქვა.

ახლა კი სპორტული კარიერის შესახებ, რომელიც მართლაც რომ წარმატებული ჰქონდა. თავად ბატონ ნოდარი გვიამბობს:

— თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში 1958 წელს დავიწყე. პირველი მასწავლებელი იყო მარლენ ოსიყმაშვილი... ვიდრე ჭიდაობაზე მივიდოდი, კრიჭა და ძალოსნობაში ვვარჯიშობდი. ჩემი უბნის ბიჭები თავისუფალ ჭიდაობაზე დადიოდნენ და მეც ხშირად დავყვებოდი. ჭიდაობაში ვარჯიში მას შემდეგ დავიწყეთ, რაც ცირკში ლეგენდარული ფალავნის გურამ საღარაძის გამოსვლა ვნახე — მან ბრწყინვალე სტილში თბილისში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ირანელი ჰაბიბი.

მოგეგონებით, წილად მხვდა მეხნერება, გამეცინო პირადად ბატონ გურამი. სწორედ მისი მეთაურობით გავიზარდეთ — „მეორე საღარაძესაც“ მეძახდნენ, რადგან ბრძოლის სტილით სწორედ მას მამსგავსებდნენ. ორივე საზოგადოების „სპორტსკოლ“ წევრები ვიყავით. ოსიყმაშვილის შემდეგ ვვარჯიშობდი ზალა ნოზაძესთან, ვასილ ილუქიძესთან...

◆ *პირველ წარმატებას თუ გაიხსენებდით...*

— ეს 1959 წელს იყო. — ჭიდაობაში ვარჯიშის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ მოვიგე ქ. თბილისის პირველობა ჭაბუკთა შორის, მალე საქართველოს ჩემპიონიც გავხდი. შემდეგ მიმიწვიეს ეილნიუსში, სადაც „შრომითი ორ-ზერვების“ საკავშირო შეჯიბრებაში მესამე ადგილი დავიკავე. ამას რამდენიმე საკავშირო წარმატება მოჰყვა და 1962 წელს პირველად ვიასპარეზე საერთაშორისო შეჯიბრებაში — ჰაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. შემდეგ გავხდი ცნობილი ჭაბუკი ჩემპიონი. სტუდენტებში და მსოფლიო უნივერსიადაში გამარჯვებული.

გარდა ამისა, ვარ საქართველოს 16-გზის ჩემპიონი. ბევრ ცნობილ მოჭიდავეს შევხვედრივარ, მათ შორის, ფურავსკის, რომელიც მრავალჯერ საკავშირო ჩემპიონი იყო. სპორტმა ბევრი მეგობარი შემძინა. გურამ საღარაძის გარდა გამოვყოფდი ბატონ გიგი ყურაშვილს, რომელსაც პირადად პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დარბაზში შევხვდი...

◆ *დღესაც ჭიდაობასთან ბევრი რამ გაკავშირებთ — თქვენ ხომ დედაქალაქის ჭიდაობის უფლებათა თავმჯდომარის მოადგილე პრძანდებით. რა მდგომარეობაა თბილისში ჭიდაობის დარბაზებში?*

— ორ დარბაზში — ცენტრალურში, რომელიც ვაკეშია და დიღომში, საკმაოდ ნორმალური პირობებია. სხვაგან კი მეტწილად პრობლემებია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო პერიოდში სასიკეთო ძვრები შეინიშნება — მომწონს, ჩვენი ქუჩის პრეზიდენტის ბატონ მიხეილ საკაშვილის ალებული კურსი, რომლის თქმით, ქართული სპორტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყრას. მართალია, შესანიშნავი თაობა გვყავდა, რომელსაც ხელშეწყობა სჭირდება, რათა მომავალში უფრო ასახელონ ქვეყანა. სამაგალითოდ, ვეტერით, რომ ახლახან მატჩები ჩაატარეს ნორჩ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა ჭაბუკებმა, რომლებმაც ორ ოქროსა და სამ ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

◆ *როგორია თქვენი მომავალი გეგმები?*

— გაისად შევიცვლები, კიდევ უფრო გავაძლიერო მდგომარეობა თბილისის საჭიდაო დარბაზებში, შეუქმნათ უკეთესი პირობები, როგორც მოჭიდავეებს, ისე მწვრთნელებს, დაგეგმილია, რამდენიმე ტურნირის ჩატარებაც. თბილისის სპორტის ახალი ხელმძღვანელობის დამაყოფილებელ გაძლეგს იმის იმედს, რომ დედაქალაქს სპორტი უფრო მეტ სტიმულს მისცემს, საერთოდ, ქართული სპორტის წინსულს. ჭიდაობა კი, როგორც ყოველთვის, ივანგარიშებ იქნება.

ნოდარ ჯაბიშვილი (ზემოდან)

თენგიზ ჩოგანიძე

ოსტატთა აღმზრდელი

დღევანდელი რუბრიკის სტუმარი დამსახურებული მწვრთნელი ბოჭი ბაბარაშვილი.

დაიბადა ქ. თბილისში, 1955 წლის 16 იელის. ჭაბუკის თამაში მე-3 კლასში ყოფნისას ბიძამ ასწავლა, შემდეგ ცოლმა შთააგონა ნინო წიტაიშვილთან იმაღლებდა. ორი წელი კი თეიმურაზ ლომაია ავარჯიშებდა. პირველად ამხანაგურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, რომელშიც ერთბაშად შთაბეჭდილება მოახდინა ნაწარჯელისა და პაკუე ხიზანიშვილის მოსწავლეები ვასეჭირებოდნენ, ამ ტურნირში პაიკების ჭკუანირად გაწევისთვის ინჭარჯელისაგან შეჭება დაიმსახურა, რაც სხვებისთვის სამაგალითო გახდა. ორჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, სამჯერ კი თბილისის საკავშირო ჩემპიონობაზე მე-4 ადგილი დაიკავა და სტაჟიორს პარტიისთვის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. 1976 წლიდან კი მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მისი აღსაზრდელები წარმატებით გამოდიოდნენ და გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებებზე. მასთან ვკალიფიკაციას იმაღლებდნენ: მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე, აკაკი იაშვილი, ნათია ჯანჭილაძე და სხვ. ამჟამად იგი საქმაოდ კლუბ „ტბე“-ში წვრთნის ბავშვებს.

◆ *ბატონო ბოჭი, როდიდან მოჰ კიდეი ხელი მწვრთნელის პროფესიას და რამ გადაგაწყვეტინათ ამ ნაბიჯის გადადგმა?*

— ჯარიდან დაბრუნების შემდეგ აფეილებული იყო სამუშაო საბუთი მჭირდა. მეც გადავწყვიტე ნაცნობ სფეროში მესინჯა ძალები და 1976 წელს შთა ინჭარკიელის დახმარებით სკოლაში დაწყებითი სკოლაში დაწყებითი სკოლაში დაწყებითი მასწავლებლად.

◆ *ვინ იყო თქვენი პირველი მოწაფე, რომელმაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწია?*

— პირველი დიდი წარმატება ჩემს მოსწავლეებს შორის გვითრო კახიანს ჰქონდა. იგი იყო საქართველოს ჩემპიონი, 16 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ვეცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის.

◆ *დამსახურებული მწვრთნელის ტიტული როდის მოგენიჭათ?*

— ვითრო კახიანის წარმატებებთან დაკავშირებით 1989-90 წლებში მიეიღე ეს ჩემპიონიც გავხდი. შემდეგ მიმიწვიეს ეილნიუსში, სადაც „შრომითი ორ-ზერვების“ საკავშირო შეჯიბრებაში მესამე ადგილი დავიკავე. ამას რამდენიმე საკავშირო წარმატება მოჰყვა და 1962 წელს პირველად ვიასპარეზე საერთაშორისო შეჯიბრებაში — ჰაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. შემდეგ გავხდი ცნობილი ჭაბუკი ჩემპიონი. სტუდენტებში და მსოფლიო უნივერსიადაში გამარჯვებული.

გარდა ამისა, ვარ საქართველოს 16-გზის ჩემპიონი. ბევრ ცნობილ მოჭიდავეს შევხვედრივარ, მათ შორის, ფურავსკის, რომელიც მრავალჯერ საკავშირო ჩემპიონი იყო. სპორტმა ბევრი მეგობარი შემძინა. გურამ საღარაძის გარდა გამოვყოფდი ბატონ გიგი ყურაშვილს, რომელსაც პირადად პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დარბაზში შევხვდი...

◆ *დღესაც ჭიდაობასთან ბევრი რამ გაკავშირებთ — თქვენ ხომ დედაქალაქის ჭიდაობის უფლებათა თავმჯდომარის მოადგილე პრძანდებით. რა მდგომარეობაა თბილისში ჭიდაობის დარბაზებში?*

— ორ დარბაზში — ცენტრალურში, რომელიც ვაკეშია და დიღომში, საკმაოდ ნორმალური პირობებია. სხვაგან კი მეტწილად პრობლემებია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო პერიოდში სასიკეთო ძვრები შეინიშნება — მომწონს, ჩვენი ქუჩის პრეზიდენტის ბატონ მიხეილ საკაშვილის ალებული კურსი, რომლის თქმით, ქართულ სპორტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყრას. მართალია, შესანიშნავი თაობა გვყავდა, რომელსაც ხელშეწყობა სჭირდება, რათა მომავალში უფრო ასახელონ ქვეყანა. სამაგალითოდ, ვეტერით, რომ ახლახან მატჩები ჩაატარეს ნორჩ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა ჭაბუკებმა, რომლებმაც ორ ოქროსა და სამ ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

◆ *როგორია თქვენი მომავალი გეგმები?*

— გაისად შევიცვლები, კიდევ უფრო გავაძლიერო მდგომარეობა თბილისის საჭიდაო დარბაზებში, შეუქმნათ უკეთესი პირობები, როგორც მოჭიდავეებს, ისე მწვრთნელებს, დაგეგმილია, რამდენიმე ტურნირის ჩატარებაც. თბილისის სპორტის ახალი ხელმძღვანელობის დამაყოფილებელ გაძლეგს იმის იმედს, რომ დედაქალაქს სპორტი უფრო მეტ სტიმულს მისცემს, საერთოდ, ქართული სპორტის წინსულს. ჭიდაობა კი, როგორც ყოველთვის, ივანგარიშებ იქნება.

ლ — მაგიანე
50 წლის წინათ...

ლეჩხელიძე. აქ გაიხსნა სანატორიუმი სპორტი, სადაც ერთდროულად დაისვენებს 100 სპორტსმენი. სანატორიუმს აქვს საცემრო კაბინეტი კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები, კორტი და ა.შ.

თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში დამთავრდა ეკონომიკის ფაკულტეტის გამარჯვებით. პირად პირველობაში თავიანთ წონებში უძლიერესები იყვნენ შ. მალალაშვილი, მ. საგინაშვილი, გ. ჩაფუროშვილი, გ. იმედაძე, რ. კრიკინაშვილი და ო. სენინაშვილი.

თელავი. მოსწავლე კალათბურთელთა პირველობაში ჰაბუკების გამარჯვება მოიპოვა №1 საშუალო სკოლის გუნდმა, გოგონებში უძლიერესი იყო რუსული საშუალო სკოლის ნაკრები. მათვე იმარჯვეს ფრენბურთელთა ტურნირშიც, როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა შორის.

ქლეხორი. მძლეოსნობაში რაიონის პირველობაში 75 სპორტსმენი ჩაება. გუნდური პირველობა მოიპოვეს ქართული საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ხობი. რაიონის მოსწავლეთა პირველობა ფრენბურთში მოიგო ხობის საშუალო სკოლის გუნდმა. მასვე ხვდა წარმატება კალათბურთში. მონაწილეობდა 18-18 გუნდი.

გალი. რაიონის ცხენოსნობის პირველობის პროგრამაში იყო დაბრკოლებათა გადალახვა, ჩქეხა, ისინები, დიღი და ცხენბურთი. ცალკე სახეობებში გაიმარჯვეს ნ. ზუამბაიამ, კ. ჩიქვანიამ, ი. ქაცეიანიამ, ჩ. ბუღილკირიამ, მ. ჩემინავამ. ცხენბურთში პირველები იყვნენ ქუმო ბარეციხის, ცხენბურთში — ოქუმის მხედრები.

გამოიწერეთ ლ
2005 წლის
I ნახევრისათვის

დებულება

საქართველოს „სპორტის რაინდის“ ორდენის შესახებ

I. ზოგადი დებულება

1.1. საქართველოს „სპორტის რაინდის“ ორდენი არის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის უმაღლესი ჯილდო.

1.2. საქართველოს „სპორტის რაინდის“ ორდენით ჯილდოვდებიან: ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, მსოფლიოსა და ევროპის მრავალჯერ ჩემპიონები (დიდები), ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულების და მსოფლიო და ევროპის მრავალჯერ ჩემპიონების (დიდები) მწვრთნელები, სპორტის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურების პირორებები (სპორტული ბაზების შენებლობა, ჟურნალისტები, მეცნიერული და სამედიცინო ხასიათის მოღვაწეობა და ა.შ.).

II. „სპორტის რაინდის“ ორდენით დაჯილდოების წესი

2.1. საქართველოს „სპორტის რაინდის“ ორდენით დაჯილდოება ხორციელდება სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს წარედგინება: ა) დაჯილდების ფურცელი; ბ) 2 ფოტოსურათი (ზომა 3X4); გ) დახასიათება-რეკომენდაცია (არანაკლებ 3 ორგანიზაციიდან, დაწესებულებიდან); ე) ჩემპიონობის დამადასტურებელი დიპლომის ასლი.

III. „სპორტის რაინდის“ ორდენის გადაცემის წესი

3.1. საქართველოს „სპორტის რაინდის“ ორდენს და შესაბამის მოწმობას საზეიმო ვითარებაში გადასცემს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში — თავმჯდომარის მოადგილის დროებით შემსრულებელი.

IV. „სპორტის რაინდის“ ორდენის ჩამორთმევის წესი

4.1. დაკარგული ორდენის ნაცვლად დუბლიკატი არ გაიცემა. მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს შეუძლია გასცეს დუბლიკატი.

4.2. საქართველოს „სპორტის რაინდის“ ორდენის ჩამორთმევა შეუძლია საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაჯილდოებულის მიერ შეურაცხმყოფელი საქციელის ან კანონით განსაზღვრული სახის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

დებულება ამოქმედდება ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან.

დებულება დამტკიცებულია სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მემძარაშვილის მიერ.

ეროვნული გმირის ტურნირი ხოშში

ხობის ცენტრში, ღია საბავშვო მოედანზე გაიმართა საქართველოს ეროვნული გმირის ვიქტორ შარტავას მესამე მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

ტურნირის ორგანიზატორები არიან სპორთშოროსი სკვერშომჭედი ფონდის „ხობის“ პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის მაორიტარი დეპუტატი **გოდერძი ბუკია** და ვიცე პრეზიდენტი ფონდის პრეზიდენტი **რობერტ დარიბაშვილი.** ორივე მათგანი საქართველოს ერთიანობისათვის გმირულად დაღუპული ვიცე პრეზიდენტის შვილები არიან.

ხობში 15 რაიონისა და ქალაქის 100-ზე ცნობილება და ნაკლებადცნობილმა მოჭიდავემ იასპარეზა. ყველაზე პრესტიჟული ახალუხტერი პირველობა (ფალვანობა) მოიგო ეროსის ჩემპიონმა სამხრეთ. რუსთველი ზვიად ჩინჩალაძემ.

გამარჯვებულ სპორტსმენებს და პრიზიორებს ფულად საჩუქრებთან ერთად გადაეცათ მედლები, რომელიც ნებისმიერი რანგის სპორთშოროსის შეჯიბრებას დაამშვენებდა. მოიქროყილ-მოვერცხლილ მედალზე გამოსახულია საქართველოს ეროვნული გმირის ვიქტორ შარტავას ვატყაცური სახე.

ხობელ და არა მარტო ხობელ გულშემატკივრებზე განსაკუთრებულად კარგი შთაბეჭდილება დატოვა გორელი ზვიად ბაზადარაშვილის და ქუთაისელი ირაკლი ცირკვიძის გამოსვლამ.

შეჯიბრებას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის რამდენიმე დეპუტატი. ასპარეზობის დახურვის ცერემონიალზე პარლამენტარმა ვალერი გელბახიანმა დეპუტატთა სახელით პრიზიორი ზვიად ბაზადარაშვილი.

ხობის ეროვნული შარტავას სახელობის პირველი საშუალო სკოლის სახელით კი ამ სკოლის მოსწავლემ თამუნა სამეკიან სპეციალური პრიზი გადასცა ერთ-ერთ გამარჯვებულ დაჯილდოებულ ზვიად ბაზადარაშვილი.

დახურვის ცერემონიალზე თავიანთი ხელოვნება უწყენა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გუნდმა „გრაციამ“.

ასპარეზობას ობიექტურად წარმართავდნენ სპორტის აკადემიის ჭიდაობის კათედრის თანამშრომლები (ხობში მსაჯი ნუგზარ გოგოლაური). როგორც გოდერძი ბუკიამ თქვა, მომავალში ამ ტრადიციული ტურნირის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება.

შეჯიბრების ხარისხი წლეულსაც საკმაოდ მაღალი იყო, ასპარეზობაში ეროვნის ჩემპიონები და პრიზიორები გამოდიოდნენ. დასაწყისი საქართველოში ქართული ჭიდაობის ასეთი ტურნირი იშვიათად ტარდება. გოდერძი ბუკიამ და რობერტ დარიბაშვილმა დიდებული საქმე წამოწყეს. ამით ეროვნული შარტავას სახელის უკვდავყოფას გამოხატავენ, თან ჩვენი ეროვნული და ძირძველი ქართული ჭიდაობის განვითარებას უწყობენ ხელს.

სწორედ რომ გორელი ბუკიასა და რობერტ დარიბაშვილის დარი მამულიშვილები სჭირდება ქართულ ჭიდაობას, რომ ამ ეროვნულმა საუნჯემ კიდევ უფრო იღორძინოს.

„ლელოს“ სპეც. კორ. ხობი.

კვარცხლბეკი. **65 კგ:** 1. ზვიად ბაზადარაშვილი (გორი), 2. ვალერი გიგიბერია (ფოთი), 3. ალექსი ჩახუაშვილი (სპორტის აკადემია); **75 კგ:** 1. დავით ნადარაია (ხობი), 2. მამუკა სახვაძე (გორი), 3. გიორგი ზუბიტაშვილი (სპორტის აკადემია); **85 კგ:** 1. ნიკოლოზ ბიბილაშვილი (გორი), 2. ბაგრი გავაშელიშვილი (სპორტის აკადემია), 3. ლევან წოკლაური („შევარდენი“); **95 კგ:** 1. ირაკლი ცირკვიძე (ქუთაისი), 2. მიხეილ ჩერქეზიშვილი (სპორტის აკადემია), 3. ლევან ტყემალაძე (ხობი); **+ 95 კგ:** 1. ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი), 2. გელა ბეჭვაია (ქუთაისი), 3. სოსო ჭანთარია (სპორტის აკადემია).

სწუ-ს ბურთებით გაღაუსწრო თსუ-ს

კალათბურთი ვატა ეროვნული ჩემპიონატი

ვიქ კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის განელილ სამი მატჩიდან ორში ლიდერები და აუტსაიდერები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სტუ-ს სოხუმელთა გუნდთან შეხვედრაში ძალების დაუძაბავად აღიარდ მაღლა წარამატა — 136:76. აღსანიშნავია, რომ ტაქნიკოსთაგან გოგობერიძემ 36 ქულა მოიტანა თავის გუნდს. მეტოქეთა რიგებში კი საუკეთესო იყო ნინუა (16). პირიველების მიხედვით ანგარიში ასეთია — 33:18, 28:17, 44:22, 33:19.

კიდევ ერთი აუტსაიდერი „მაკაბი“, იქ დღეს შედარებით გაუძალიანდა ერთ-ერთ ლიდერს — თსუ-ს. პირველი პერიოდი სტუდენტებმა დაიმეს კიდეც — 17:23. მეორე მეოთხედში თამაში გათანაბრდა, მერე კი უნივერსიტეტელებმა მოიგეს მატჩის ეს მონაკვეთი — 27:21. სულ სხვა სურათი ვიხილეთ მესამე მეოთხედში, სადაც „მაკაბი“ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და მეტოქეს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა მდგომარეობის დასაბალანსებლად. თსუ-ს სულ ბოლო მომენტში შეძლო წინ გასვლა — 29:27. დასკვნით პერიოდში მოლიანად სტუდენტების იყო — 34:18 და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ — 97:89. საუკეთესონი იყვნენ: ლეკვა (თსუ) — 18 ქ და ვაშაძე („მაკაბი“) — 24.

ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო“ — „თუჯის“ შეხვედრა გახდა, რომელსაც, როგორც ეწერებოთ, საგანგები პრესკონფერენციაც მიეძღვნა. ცენტრალურის, ვამბობთ, მაგრამ ახლა ეკონომიურად შეკრებილ მეტოქეებს 3 კილბეთ — ისინი მოვალეობის მოხდის მიზნით თამაშობდნენ, თუმცა, სპორტულმა აზარტმა შეგადაშიგ მაინც დაიწყო პრობლემები კალათბურთელებს და გამარჯვების წყურვილი მწვავე ირიშებისცენ უბიძგებდა მათ. ბოლოს „დინამომ“ ისარჯა — 90:69 (23:12, 20:21, 24:14, 23:22). გამორჩეულები, ცხადია, აქაც იყვნენ: ლილაბერიძე („დინამო“) — 19 ქ და ჩაჩუა („თუჯი“) — 12.

სამივე მატჩი ერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში გაიმართა სამშაბათს. კალენდარში ცვლილება იმან გამოიწვია, რომ ვერის ეს დარბაზი სპორტული ცენტრის ოსტატებს დაეთმოთ.

ირაკლი სარალიძე

	თ	ვ	წ	ბ	ქ
სტუ	3	3	0	+112	6
თსუ	3	3	0	+79	6
თბილისელები	3	2	1	+72	5
დინამო	3	2	1	+18	5
თუჯი	3	1	2	-1	4
სსუ	3	1	2	-115	4
მაკაბი	3	0	3	-74	3
ბურჯი	3	0	3	-91	3

აკადემიის ღია პირველობიდან საერთაშორისო ტურნირზე

კვარცხლბეკი. **65 კგ:** 1. გელა შაორიშვილი (თსუ, სოხ. ფილ.), 2. დათო მელაძე, 3. ბეგა მჭედლიშვილი (ორივე — სპ. აკ.) და ლევან ცინცაძე (მათ. უნ.); **– 75 კგ:** 1. რატი წიფლაძე (მათ. უნ.), 2. ერეკ კარაპეტიანი) 3. ცოტნე მამულაშვილი და სერგო ჯანგავაძე (სამივე — სპ. აკ.); **+75 კგ:** 1. ლუკა მჭედლიშვილი (სპ. აკ.), 2. გიორგი ცურტაევი, 3. დ. ოსეფაშვილი და ალეკო ხარშილაძე (სამივე — სტუ) **გოგონები:** 1. ხატია ტარიელაძე (მათ.), 2. ქეთი მაისურაძე (სპ. აკ.), 3. ნინო ჩხაიძე (კლ. „აკადემია“) და სოფო გოგოლაშვილი (თსუ).

მთავარი მსაჯი იყო საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, აკადემიის ჭიდაობის კათედრის მასწავლებელი — ირაკლი დოლაბერიძე.

სპორტის აკადემიის სპორტსმენები აქამდეც ზაგრებში იმყოფებიან კიოკუშინ კარატეში საერთაშორისო ტურნირზე. ამ სასწავლებლის ღირსებას დაიცავენ: ვერიას მეორე პრიზიორი ლაშა ხაჭაპურიძე და ემზარ ნიქაბაძე, მსაჯი — ვლადიმერ შენგელაია. დელეგაციას ირაკლი დოლაბერიძე ხელმძღვანელობს.

ცოტნე ბაძრაძე



«გინესის» სამყაროში

1759 წელს ჯ დუბლინში მოკლა ბერტურ გინესმა გახსნა ლუდის სახლეული. 1833 წლისათვის იგი უდიდესად ითვლებოდა მთელ ირლანდიაში, ხოლო 1930 წელს იგი დიდ ბრიტანეთში ორ უდიდეს ლუდის ქარხანას ფლობდა.

1951 წელს კომპანია „ვუსფორდის“ მიერ მონადირეებისათვის გამართულ ნადიმზე მოწვეული ზუსტი სროლის ოსტატები, როგორც მონადირეებს სწვევიათ, ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიებს გამოთქვამდნენ იმის შესახებ, თუ რომელი ფრინველი იყო ყველაზე სწრაფი. ეს დაუსაბუთებელი დავა მონადირეთა შორის 1954 წლამდე გაგრძელდა. ამ დავის შემსწრე და მონაწილე გინესის იმპერიის წარმომადგენელი სერ ჰრიტს დაებადა იდეა, რომ ლუდის ბარებისათვის, სადაც ათასგვარი ცნობისმოყვარე ლუდის გურმანი იყრიდა თავს, შეექმნა წიგნი, რომელშიც მოძებნებოდა პასუხი ყველა სანტერესო საკითხებზე. იგი დაუკავშირდა ლუდის სახარშ „გინეს პარკ რიალში“ მომუშავე უმცროს ლუდის ხარშველ კრის ჩეტოვის, ყოფილ მძღოლსან, რომელმაც თავის მხრივ ასეთი გამოკვლისათვის რეკომენდაცია გაუწია ტყეპ მჭედლორის და რასსი მაკორტერორის, რადგან ისინი წლების მანძილზე ჩეტოვისთან ერთად მონაწილეობდნენ საუნივერსიტეტო მძლეოსნურ პირველობებში, ხოლო შემდგომში ჯ ფილტრატში საკუთარი საინფორმაციო სააგენტოების მფლობელები გახდნენ. სწორედ მათ მიენდო გამოკვლის მოშაზება. ერთწლიანი დამკვირვება მუშაობის შემდეგ 1955 წლის 27 აგვისტოს უკვე მზად იყო პირველი 198 გვერდიანი „გინესის რეკორდების წიგნი“. იმავე წელს წიგნი მთელ ინგლისში ბესტსელერად იქცა.

სადღესასწო „გინესის რეკორდების წიგნი“ ბათლის მსოფლიოს 40 ქვეყანაში, საუკუნის დამდეგისათვის გაყიდული წიგნების რიცხვმა 100 მილიონს გადააჭარბა.

? **შეკითხვა „ლელოს“**

შეკითხვა: მეგობრებში წამოვჭარ დავა გინესის ერთ-ერთ რეკორდთან დაკავშირებით, კერძოდ, ჯუმბერ ლეკვავამ რამდენჯერ აიწია მძლავრებზე ერთი საათის განმავლობაში და ეს მან გააკეთა შუსვენებებით თუ შეუსვენებლად.

ჯემალ ჯანიაშვილი, ბახტანგ მუსელიანი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

პასუხი: ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქცია დაუკავშირდა საქართველოში გინესის რეკორდების კორრესპონდენტს ვაჟა ნუცუბიძეს, რომელმაც განგვიმარტა, რომ ჯუმბერ ლეკვაის საგნებო რეკორდი მკლავებზე აზიდვაში — 5011 აზიდვა, 5-საათიანი — 16274, 6-საათიანი — 18376, 12-საათიანი — 34955, 24-საათიანი — 44141, წლიური — 4.800.000, ავრეთვე 100-დღიანი მარათონი — 1.720.000, ყოველდღიური — 17.300.

ყველა რეკორდი, მათ შორის 1-საათიანიც, დამყარებულია შესვენებებით, პრინციპით: დრო — რაოდენობა.

საქართველო – დანია

დანიამ საქართველოს და „ლოკომოტივს“ ვერ გაასწრო

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. II ჯგუფი

თბილისი. ბატონის „ლოკომოტივი“. 25.000 მაყურებელი

საქართველო – დანია 2-2

საქართველო: დვალი, ხიზანიშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, მგალობიანი, ლ. კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ჯიქია (კვირკველია, 73), ასათიანი, იაშვილი (შ. არველაძე, 73), დემბერაძე.

დანია: სორენსენი, პოულსენი, პრისტ, კრილორუპი, ნ. ირნსენი, ლუსტუ, გრავესენი, დ. ირნსენი (სკობო, 88), ი.დ. ტომპსონი, იორგენსენი (ლოვენკრანცი, 88), პერესი (რომედალი, 46).

გოლები: 0-1 ტომპსონი (9), 1-1 დემბერაძე (34), 1-2 ტომპსონი (64), 2-2 ასათიანი (75).

გააფრთხილეს: გრავესენი (37), ლუსტუ (50).

მსაჯი: დ. ჩეფინი (სლოვენია).

ფიფქის დელეგატი: პ. პამალიანენი (ფინეთი).

ფოტოები ედგარ მაღალაშვილისა

წლევანდელი საბაჟო მონაგარის შეფასებისათვის ძრო საკმაოა. ჩვენებურთა ფრანგი მწვრთნელის ალენ ვირესის გამარტებით, გუნდი ვითარდება და ძირითადი ბირთვიც ფალიდება. უმთავრესი დასკვნით მატჩე არ ჩაუდგა ნაკრებს. გამართული, აგრეშიერი სტილით მოთამაშე სტუმრებს მასპინძლებმა შემართება და მონდომება, მომენტებში ტექნიკური სიმწიფე დატენრისპირეს, რამაც შედეგად ნაღდ ბრძოლაში მოპოვებული ფრე ანუ ერთი ქულა მოგვიტანა. გუნდი, რომელიც გამრეულებულის გასწორებას ორჯერ შეძლებს, არ წააგებს. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ფრე თითქოს ლოგიური იყო, მაგრამ ერთი აწყარა საგოლე მომენტის გამოყენების შემთხვევაში, მასპინძლებს ალბათ გამარჯვების მოპოვებაც შეეძლოთ. თუმცა, არცერთმა და დემბერაძემ ბურთი ვერ გაიგზავნა ფარეთში. მანამდე იყო კარგი გაწყობა, ბიჭები, დროები, მოთარი, — გამარჯვების იმედი და ოხმახინი დასაწყისი, რომელიც იონ დალ ტომპსონმა შესანშნავი დრიბლინგით და ოსტატური გოლით დაიცხრო. თვალწინაცემა ის იყო, რომ მეტოქის პირველივე შემოტევისას, არც გუდშამატკივარი, არც ნაკრები გაჩერდა. მასპინძელთა შეტევებს ქომაგთა შეძახილები უმაგრებდა ზურგს. იაშვილის შეტევას, კობიაშვილის საარიშო და კალაძის თავერი მოაჯე. მერე ხისტი თამაშიც გამორჩეულმა გრავესენმა ძლიერად დაარტყა ჩვენი კარის მიმართულებით. ამ ეპიზოდს მოაჯა ჩვენი გოლი, ჯიქიას — ასათიანის-ია შვილის-კობიაშვილის მოხდენილი კომბინაცია დემბერაძემ ჩინებული თავერით დააგვირგვინა.

მეორე ტაიმში ემოციები დაცხრა. სტუმრებმაც ბურთი დაიპირეს, თუმცა დასაწყისი მაინც ჩვენი იყო. ასათიანს, მგალობაძეს და ისევ ასათიანს კობიაშვილმა აუბა მხარი. მაგრამ დანიელთა კაპიტანს ვერაფერი მოუხერხეთ. ტომპსონმა ერთხელაც ზუსტად დაარტყა და თამაში ისევ შეპოსაბრუნებელი გაგეხსა. თუ სკანდინავიელებს ტომპსონი ჰყოფდათ, ჩვენ ასათიანი გვყავს — ნაკრების ნაღდი ლიდერი. მალხაზმა დიდებულად გაიწვართა, ორი მეტრეც ჩამოიცილა და სორენსენს აუღებელი დაურტყა. მოპოვებული ქულით მაინც სტუმარი ვნებდა იყოს ქმაყოფილი, ვიდრე მასპინძელი. ახლა საგაზაფხულო შესვენებაა და ნაკრებს სულისმოთქმის და ძალის მოკრების დრო დაეღება. ბრძოლა გაისად გაგრძელდება, მერე ოქის მოგების ჟამიც დადგება.

ამასობაში, უკრაინა წინ გაიპრა, შეეჩეკვა თურქეთს სტამბოლში წესი აუცო. და სლავები ჯგუფს ერთპარტნეორად ლიდერობენ. ბერძნებსაც კი ადვილად დაჰაგრეს სტუმარი ყაზახები.

მისვილ საბასტარეშვილი

თურქეთი – უკრაინა 0-3

საბურძნეთი – ყაზახეთი 3-1

უკრაინა	5	3	2	0	9-3	11
დანია	4	1	3	0	6-4	6
თურქეთი	5	1	3	1	6-5	6
ალბანეთი	4	2	0	2	3-5	6
საბერძნეთი	4	1	2	1	5-4	5
საქართველო	4	1	2	1	5-5	5
ყაზახეთი	4	0	0	4	2-10	0

«თავს ზევით ძალა არ არის, თამაში არ გამიყიდია»

2006 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. II შესარჩევი ჯგუფის მატჩი. 16 ნოემბერი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 10 000 მაყურებელი

საქართველო – დანია 2-4 (ახალგაზრდული ნაკრებები)

საქართველო: თოთლაძე, დათუაშვილი, ა. კალაძე, იმედაშვილი, ელიავა, თ. ბურნაძე, გ. ნუგზარიძე, კანკავა (ნესარაშვილი, 79), მარცვალაძე (ნაკახი, 60), გეწაძე, მოდებაძე (გ. ნოდარიძე, 61), ქ. ნოდარიძე (ბურძგლიშვილი, 61).

დანია: ელებარკი, კილდენტოფტი, ტროელსი, 3-ნ. იაკობსენი, 3-ჯ. პედერსენი, სარს-სვიორგი (ტოგესენი, 74), ბერგგაოლდი, ყრონ-დიდი, კამპენი, კალენბერგი, რასმუსენი (ბისკოფსენი, 90).

გოლები: 0-1 ყრონ-ჯ.ალი (12), 0-2 კალენბერგი (31 პ), 1-2 მოდებაძე (43), 1-3 კამპენი (78), 1-4 ტოგესენი (80), 2-4 დათუაშვილი (87).

გააფრთხილეს: ა. კალაძე (28), სარს-სვიორგი (35), კალენბერგი (62), ელებარკი (65), კანკავა (71), თ. ბურნაძე (84). **მსაჯი:** რ. ჯაერილა (სლოვაკეთი). **უეშის დელეგატი:** ვ. ყრონდელი (ჩეხეთი).

